შეთანხმებული ქმედება- სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საქართველოს და ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ჭრილში

ლელა გიგაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო(ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე დევიძე, სამხრეთ აღმოსავლეთ სამართლისა და ევროპული ინტეგრაციის სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ლელა გიგაური/ ლ.გიგაური 22.06.2018

აბსტრაქტი

კონკურენციის სამართალს მნიშვნელოვანი როლი უკავია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც ეკონომიკურად მდგრადი ქვეყნის პოზიცია საერთაშორისო ასპარეზზე.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კონკურენციის სამართლის განვითარება, საქართველო და ევროკავშირის ურთიერთობები კონკურენციის სამართლის მიმართულებით, შეთანხმებული ქმედება, ოლიგოპოლური ბაზრის მნიშვნელობა შეთანხმებულ ქმედებასთან მიმართებაში, კონკურენციის სააგენტოს სტატისტიკა და რაც მთავარია გაანალიზებულ იქნა ევროპის მართლმსაჯულების და საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები.

აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალურია, საქართველო აქტიურად იბრძვის, რაც შეიძლება მეტი განვითარება ჰპოვოს ეკონომიკაში, გარდა ამისა საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული აქვს ვალდებულება იქონიოს ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობა.

მიუხედავად ამისა, კონკურენციის სამართალს არ აქვს განვითარების ხანგრძლივი ისტორია ჩვენს ქვეყანში. სასამართლო გადაწყვეტილების სიმცირე კი მეტყველებს იმაზე, რომ საჭიროა კონკურენციის სამართლის მეტად შესწავლა და განვითარება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კონკურენციის სამართალი, შეთანხმებული ქმედება, ოლიგოპოლური ბაზარი. ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები, ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო.